პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N

..... იანვარი, 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა
რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების
განსაზღვრისა და დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-2 და 2^3 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - საკრებულოს 11 წევრი;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - საკრებულოს 17 წევრი;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - საკრებულოს 16 წევრი;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - საკრებულოს 12 წევრი;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - საკრებულოს 14 წევრი.

მუხლი 2. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქციის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 6 წევრის ოდენობით;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 9 წევრის ოდენობით;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 8 წევრის ოდენობით;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 6 წევრის ოდენობით;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 7 წევრის ოდენობით.

მუხლი 3. დამტკიცდეს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქციის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 5 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 4 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 5 წევრის ოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 0 წევრის ოდენობით;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 3 წევრის ოდენობით;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 3 წევრის ოდენობით;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 2 წევრის ოდენობით.

მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 განკარგულება.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით

თ.ჯუღელი
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი

ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. **განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საფუძველზე, საკრებულოს პირველ სხდომაზე მიღებულ იქნა განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კომისიებში ფრაქციებისაგან საკრებულოს წევრთა წარდგენისა და აგრეთვე, საკრებულოს იმ წევრთა წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში.

აღნიშნული დოკუმენტის მიღების შემდეგ, საკრებულოში გამოიკვეთა ახალი გარემოებები. კერძოდ, ფრაქცია „ქართული ოცნებისაგან“ წარდგენილმა საკრებულოს წევრებმა: ირაკლი შენგელიამ და პაატა ლილუაშვილმა გამოთქვეს სურვილი ზოგიერთ კომისიებში გადაადგილების თაობაზე. საკრებულოს წევრმა, ბ.ხამაშურიძემ, რომელიც გაერთიანებული იყო მხოლოდ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში, სურვილი გამოხატა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში გაერთიანებაზე. ამასთან, საკრებულოს 3-მმა წევრმა, რომლებიც გაერთანებული არ არიან არცერთ ფრაქციაში, ელეონორა არჩაიამ, ნინო ჩიკვაშვილმა და კობა გურულმა პირადი განცხადებები წარმოადგინეს საფინანსო-საბიუჯეტო; ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის; კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში გაერთიანების თაობაზე. განხორციელებულმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა საკრებულოს კომისიებში როგორც ფრაქციათა წარმომადგენლობის, ასევე საკრებულოს იმ წევრთა წამომადგენლობით კვოტებზე, რომლებიც არ არიან საკრებულოს არცერთი ფრაქციის წევრები. გამომდინარე აქედან, საჭირო გახდა ზემოხსენებული განკარგულების შეცვლა. იმის გამო, რომ ცვლილება განიცადა განკარგულების ყველა მუხლმა, მიზანშეწონილად ჩაითვალა, აღნიშნულის თაობაზე, 2021 წლის 3 დეკემბერს მიღებული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და განკარგულების ჩამოყალიბება თავიდან, შეცვლილი რედაქციით.

2. **განკარგულების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, არსებული რეალობის გათვალისწინებით, დაზუსტდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები.

3. **განკარგულების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:**

განკარგულების პროექტის მიღება, გავლენას არ მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებზე.

4. **განკარგულების პროექტის ინიციატორი:**

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია.

5. **განკარგულების პროექტის ავტორი:**

საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი, ცაგური პატარიძე.

6. **განკარგულების პროექტის წარმომდგენი:**

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, თეა ჯუღელი.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების
უფროსი